

შესავალი



ტექნოლოგიები დღეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, მათი საშუალებით ვუკავშირდებით ახლობლებს, ვმუშაობთ, ვიღებთ ინფორმაციას და ვინარჩუნებთ ურთიერთობებს. თუმცა სწორედ იმ სივრცეში, რომელიც კომუნიკაციასა და სიახლოვეს უნდა ემსახურებოდეს, ძალადობაც ახალ ფორმებს იძენს. პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიები შეიძლება იქცეს არა მხოლოდ კავშირის, არამედ **კონტროლის, თვალთვალის, მანტაჟისა და ზეწოლის ინსტრუმენტად**.

პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიებით ჩადენილი ძალადობა ყოველთვის აღვივლად შესამჩნევი არ არის. ის ხშირად არ იჩეხება აშკარა მუქარით, აკრძალვებით ან ღია აგრესიით. პირიქით, შეიძლება დაიწყოს ყურადღებით, მუდმივი ინტერესით, „ზრუნვის“ სახელით, ნდობის მოთხოვნით ან სიახლოვის ილუზიით. სწორედ ამასია მისი საფრთხე: **კონტროლი ხშირად იმ ენით გვესაუბრება, რომელსაც სიყვარული და მხარდაჭერა ჰქვია¹**.

საერთაშორისო ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ ტექნოლოგიებით ჩადენილი ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის უწყვეტი სპექტრის ნაწილია და შეიძლება მოიცავდეს **თვალთვალს, ონლაინ შევიწროებას, გამოსახულებაზე დაფუძნებულ ძალადობას, პერსონალური ინფორმაციის ბოროტად გამოყენებას, ანგარიშებზე უნებართვო წვდომას, ფინანსურ კონტროლს და სხვა ქმედებებს**, რომლებიც ონლაინ და ოფლაინ ძალადობის საზღვრებს ერთმანეთში ხლართავს².

ტექნოლოგია ასეთ დროს მხოლოდ სივრცე არ არის, ის ძალადობის ინსტრუმენტადაც იქცევა. მობილური ტელეფონები, სოციალური ქსელები, შეტყობინებების აპლიკაციები, ლოკაციის სერვისები და სხვა ციფრული საშუალებები შეიძლება გამოიყენებოდეს პარტნიორის გადაადგილების გასაკონტროლებლად, მისი კომუნიკაციის შესაზღუდად, პირადი მასალის გასავრცელებლად, მანტაჟისთვის ან მუდმივი მეთვალყურეობის განცდის შესაქმნელად³.


¹ Women’s Aid, DIGITAL ABUSE. ხელმისაწვდომია - <https://www.womensaid.ie/get-help/your-rights-options/digital-safety/>

² UN Women, FAQs: DIGITAL ABUSE, TROLLING, STALKING, AND OTHER FORMS OF TECHNOLOGY-FACILITATED VIOLENCE AGAINST WOMEN; ხელმისაწვდომია - <https://www.unwomen.org/en/articles/faqs/digital-abuse-trolling-stalking-and-other-forms-of-technology-facilitated-violence-against-women>

³ UN Women, FAQs: DIGITAL ABUSE, TROLLING, STALKING, AND OTHER FORMS OF TECHNOLOGY-FACILITATED VIOLENCE AGAINST WOMEN; Women’s Aid, DIGITAL ABUSE.

ეს ბროშურა აჩვენებს, როგორ მუშაობს პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიებით ჩადენილი ძალადობა, როგორ შეიძლება მისი ამოცნობა და რატომ არის მნიშვნელოვანი მასზე საუბარი. ამავდროულად, ტექსტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთავარ პრინციპს: **პასუხისმგებლობა არასოდეს ეკისრება ქალს, რომელიც ენდო, გულწრფელი იყო ან დახმარება მიიღო. პასუხისმგებლობა ყოველთვის ეკისრება მას, ვინც ეს ნდობა კონტროლის, ძალადობის ან ბოროტად გამოყენების იარაღად აქცია**⁴.

თემის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და პრაქტიკული რჩევებისთვის ასევე შეგიძლიათ გაეცნოთ ქალთა ფონდი „სოხუმის“ საინფორმაციო გზამკვლევს - „**პარტნიორულ ურთიერთობებში ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი ძალადობა - ამოიცანი და დაიცავი**“⁵.



ქვემოთ მოცემული ისტორიები სხვადასხვა ქალს⁶ ეკუთვნის, თუმცა მათში ერთი საერთო ხაზი იკვეთება: ძალადობა იშვიათად იწყება აშკარა მუქარით. ის უფრო ხშირად ყურადღებით, „ზრუნვით“, დახმარებით ან ნდობის მოთხოვნით იწყება. სწორედ ამიტომ მისი ამოცნობა თავიდან ყოველთვის მარტივი არ არის. ეს ისტორიები გვაჩვენებს იმ ნიშნებს, რომლებიც ერთი მეხედვით ჩვეულებრივად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ დროთა განმავლობაში კონტროლად, შიშად და ძალადობად იქცევა.

⁴ Council of Europe, RECOMMENDATION ON ACCOUNTABILITY FOR TECHNOLOGY-FACILITATED VIOLENCE AGAINST WOMEN AND GIRLS; Council of Europe, CM/REC(2026)2; Council of Europe Gender Equality news release on the recommendation.

⁵ ხელმისაწვდომია - <https://www.fsokhumi.ge/index.php/ka/publikacia/informatia-zaladobis-tsinaagmdg/item/15999-2025-11-28-08-26-00>

⁶ ბროშურაში გამოყენებული ქალების სახელები შეცვლილია მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით

როცა ნღობა თაღლითობის ინსტრუმენტად იქცევა



ანა, 36 წლის, პედაგოგი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„რამდენიმე წლის წინ უცხოელმა მამაკაცმა მომწერა ინგლისურენოვანი ანგარიშიდან.

თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივად ჩანდა. მისი პროფილი სარწმუნო იყო, საუბარიც ბუნებრივად ვითარდებოდა. მითხრა, რომ ვაშინგტონში, თავდაცვის ძალებში მუშაობდა. ვიდეოზარითაც დამიკავშირდა, ამიტომ ეჭვი არ შემიტანია, თუმცა „ენდე, მაგრამ შეამოწმე“ პრინციპით ვიყავი, ფრთხილად.

დროთა განმავლობაში ბზარები გაჩნდა. ფოტოები, ვიდეოები, ბინის კადრები - ყველაფერი, რასაც მიგზავნიდა, გადამოწმებისას სხვისი აღმოჩნდებოდა, ინტერნეტიდან აღებული. მივხვდი, რომ მატყუებდა, თუმცა მაინტერესებდა, სადამდე მივიდოდა ეს თამაში.

მაღე მთხოვა, თითქოს მისი საცოლე ვიყავი და ოფიციალური წერილი მიმეწერა, რათა საქართველოში ჩამოსვლა შეძლებოდა.

ამის შემდეგ დაიწყო მთავარი - ფულის თემა.

ჯერ ამბობდა, რომ სამხედრო ნაწილიდან გამოსასვლელად სჭირდებოდა თანხა, მერე კი „საჩუქრების“ გამოგზავნის საბაბით ცდილობდა ჩემგან ფულის მიღებას. ყოველ ჯერზე ერთი და იგივე მეორდებოდა: ტყუილი, ემოციური ზეწოლა და ფულის მოთხოვნა.

ყველაზე მძიმე ის იყო, რამდენად დამაჯერებლად იყო ყველაფერი მოწყობილი.

თითქოს ნამდვილი ადამიანი გელაპარაკება, გიზიარებს ყოველდღიურობას, გიჩვენებს ვიდეოებს, გიქმნის სიხსლოვის ილუზიას და ამ დროს ნაბიჯ-ნაბიჯ გითრევს თაღლითობაში.

ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმავე სქემით ჩემს მეგობარსაც სწერდა.

ერთად ფოტო გადავიღეთ და გაუგზავნეთ.

ამის შემდეგ გაქრა.

მაშინ ძალიან მკაფიოდ გავიაზრე, რომ ტექნოლოგიით ჩადენილი ძალადობა ყოველთვის თვალსაჩინო არ არის. ის შეიძლება დაიწყოს ყურადღებით, ინტერესით და ნღობის მოპოვებით და დასრულდეს მანიპულაციით, მოტყუებითა და ფულის გამოძალკით.“



როცა ზრუნვა თვადთვადლ იქცევა

ნათია, 36 წლის, ორი შვილის დედა

„თავიდან ყველაფერი ზრუნვას ჰგავდა. მან ჩემს ტელეფონში პროგრამა დააყენა და მითხრა, ასე უფრო მშვიდად ვიქნებიო, როცა რუკაზე დაგინახავ, მეცოდინება, რომ კარგად ხარო.

მაღე ეს „ზრუნვა“ უხილავ კონტროლად იქცა. ხედავდა, სად ვიყავი, ვისთან მივდიოდი, როდის ვბრუნდებოდი. თუ მეგობრებს შევხვდებოდი, რამდენიმე წუთში უკვე მწერდა:

„ამ კაფეში რატომ ხარ?“ თუ ტელეფონი სახლში მრჩებოდა, მაშინვე მირეკავდა: „რატომ გაქრი რუკიდან?“

ხელ-ნელა მივხვდი, რომ ჩემი ყოველდღიურობა ჩემი ადარ იყო. ის ყველგან იყო: ჩემს გადაადგილებაში, ჩემს შეტყობინებებში, ჩემს სოციალურ სივრცეში. ჩემი ნაბიჯები თითქოს მე ადარ მეკუთვნოდა.

მივხვდი, რომ ეს ზრუნვა ადარ იყო. ეს იყო კონტროლი. ეს იყო ციფრული ტყვეობა.“



როცა ნდობა შანცაფის იარაღი ხდება

ლიკა, 23 წლის, ქუთაისის მუნიციპალიტეტი


„თავიდან ყველაფერი ძალიან ჩვეულებრივად დაიწყო, აქტიური მიმოწერით, რომანტიკული შეხვედრებით, საერთო ინტერესებით... როცა დავახლოვდით, ერთხელაც მთხოვა: - „გამომიგზავნე ფოტო, მხოლოდ ჩემთვის იქნებაო.“ იმ დროს მეგონა, რომ ეს ნდობა იყო. სიახლოვე იყო. სიყვარული იყო. გავუგზავნე.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა თავი დისკომფორტულად ვიგრძენი და ვუთხარი, რომ ურთიერთობის დასრულება მინდოდა, პასუხად მივიღე სიტყვები, რომლებმაც შიგნიდან გამყინა: „თუ წახვალ, ამ ფოტოებს ყველას ვაჩვენებ.“

იმ დღის შემდეგ მიში ჩემს ყოველდღიურობად იქცა. ყოველ ჯერზე, როცა ტელეფონი რეკავდა, მეგონა, უკვე გაავრცელა. ყოველი შეტყობინება პანიკას მგვრიდა. მრცხვენოდა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი დამიშავებია.

როცა ვეღარ გავუძელი, მეგობარს მოვუყევი. მან მითხრა, რომ არ უნდა შემრცხვენოდა და დახმარებისთვის მიმემართა.

მაშინ პირველად ნათლად გავიაზრე: ნდობა დანაშაული არ არის. დანაშაული მისი გამოყენებაა.“



როცა „დახმარება“ ფინანსურ კონტროლად იქცევა

ქეთი, 36 წლის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

„თავიდან მეგონა, რომ უბრალოდ მეხმარებოდა. ონლაინ გადახდებში გვერდით მედგა, ტექნიკურ საკითხებს მიმარტივებდა და ამბობდა, რომ ასე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა.“

ერთ დღეს მითხრა: „გადარიცხვები უფრო მარტივად რომ ვმართო, შენი ბარათის მონაცემებს ჩემთან შევინახავ.“ დავთანხმდი. ვიფიქრე, ეს მხოლოდ ყოველდღიურობას გამიმარტივებდა. მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, რომ საქმე დახმარებას აღარ ეხებოდა.

ბარათზე შეტყობინებები საკუთარ ტელეფონზე გადაიტანა. იცოდა ყველა შენაძენი, ყველა გადახდა, ყველა წვრილმანი.

მერე დაიწყო კითხვები: „ეს რატომ იყიდე?“ „ეს რაში დაგჭირდა?“ „ამის ყიდვა ახლა აუცილებელი იყო?“

ნელ-ნელა გაქრა არა მხოლოდ სიმშვიდე, არამედ არჩევანის უფლებაც. იმ დღიდან ჩემი ფული თითქოს ჩემი აღარ იყო. და ის, რაც თავიდან ზრუნვას ჰგავდა, ეკონომიკურ ძალადობად გადაიქცა.“



როცა ნლობას დამცირება მოსდევს

ერთ-ერთი მოზარდის ისტორია

„მოზარდობის ასაკში ჩემზე მნიშვნელოვნად უფროსი ადამიანი ხშირად მწერდა. თავიდან მის მიმართ ნლობა არ მქონდა და ვცდილობდი, დისტანცია შემენარჩუნებინა, მაგრამ დროთა განმავლობაში საერთო ინტერესებზე დაიწყო საუბარი - მუსიკაზე, ფილმებზე, გემოვნებაზე, ყოველდღიურ თემებზე. ეს ურთიერთობა ნელ-ნელა ჩემთვის ნაცნობი და ჩვეული გახდა.

მაღე საუბარი უფრო ჰირად სივრცეში გადავიდა. კითხვები სულ უფრო მეტად ეხებოდა ჩემს გამოცდილებას, ემოციებს, ჰირად საზღვრებს. ერთ მომენტში, როცა გულწრფელად ვუპასუხე, ამის შემდეგ მისი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა... დაიწყო შეურაცხყოფა, დამცირება და ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებმაც ჩემზე ყველაზე მტკივნეულად იმოქმედა.

ჩემთვის ყველაზე მძიმე ეტაპიც აქედან დაიწყო: გაუთავებელი შფოთვა, სირცხვილის განცდა და შიში. მეუბნებოდა, რომ ჩემს გარშემო მყოფ ადამიანებთანაც ჰქონდა კონტაქტი. ეს კიდევ უფრო მაშინებდა. ნელ-ნელა გამიჩნდა განცდა, რომ ვედარავის ვენდობოდი და მარტო დავრჩი იმ ყველაფერთან, რასაც შინაგანად განვიცდიდი.

ბოლოს ამ ადამიანთან კომუნიკაცია შეწყვიტე. თუმცა ამის შემდეგაც დიდხანს ვერ ვთავისუფლდებოდი საკუთარი თავის დადანაშაულებისგან. თავს ვეკითხებოდი, რატომ მივეცი მას ჩემთან ასე ახლოს მოსვლის უფლება და რატომ ვერ შევნიშნე დროულად, რომ ამ ნლობას ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებდა.

ყველაზე რთული მარტოობის განცდა იყო. როცა გგონია, რომ გვერდით დასაყრდენი არავინ გყავს, საკუთარი ფიქრებიც კი უფრო მძიმედ გაწვება. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის ერთი მომენტი, როცა ვილაღისგან თანადგომა და უპირობო მხარდაჭერა ვიგრძენი. ასეთ დროს ხვდები, რამდენად დიდი ძალა აქვს უბრალო ადამიანურ სიტბოს.“





როცა სიყვარული წაროდებს იტხოვს

თამარი, 26 წლის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

„მიყვარდა ჩემი ონლაინ სამყარო ფოტოებით, მეგობრებითა და ყოველდღიური ამბებით სავსე.

ერთ დღეს მან მითხრა: „ოჯახში ყველაფერი გამჭვირვალე უნდა იყოს, ნდობა ხომ ასე შენდება?“

იმ დღეს პაროლები გულწრფელად, გულუბრყვილოდ გავუზიარე. ვენდე ისე, როგორც მხოლოდ სიყვარულისას ენდობი ადამიანს. მაგრამ ამის შემდეგ ჩემი ციფრული სივრცე ნელ-ნელა ჩემი აღარ იყო. მან იცოდა, ვის ვწერდი, როდის ვიყავი ონლაინ, ვისთან მქონდა კონტაქტი.

მაღე დაიწყო კითხვები: „ვინ მოგწერა?“ „ვის დაუტოვე ლაიქი?“ „ეს პოსტი ვის ეხება?“

შემდეგ კითხვებს აკრძალვები მოჰყვა: „ამ ფოტოზე ზედმეტად იდიში.“ „ამ ადამიანთან აღარ იმეგობრო.“ „ეს კომენტარი წაშალე.“

ყველაფერი სიყვარულის სახელით ხდებოდა, მაგრამ ეს სიყვარული ნელ-ნელა მახრჩობდა.

ერთმანეთის მიყოლებით გაქრნენ მეგობრები, წაიშალა პოსტები, დავიწროვდა ჩემი სამყარო და გაქრა პირადი სივრცე.

ერთ დღეს კი ძალიან მკაფიოდ მივხვდი: თავისუფლებას ყოველთვის ხმაურით არ გვართმევენ.

ხშირად ის ჩუმად ქრება ნდობის, ზრუნვისა და სიყვარულის სახელით.“



როცა ეჭვიანობა სიყვარულად გესახება

მარიაში, 27 წლის

„თავიდან შეყვარებულები ვიყავით. ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო, ყოველდღიური მიმოწერით, სიახლოვით, ნდობით. როცა ურთიერთობა უფრო ახლო გახდა, ფეისბუქის პაროლებიც გავცვალეთ. იმ დროს ეს ბუნებრივად მომეჩვენა. მეგონა, ასე უფრო გამჭვირვალე და გულწრფელი ხდებოდა ურთიერთობა.

მერე დავეორწინდი. ერთ დღეს ჩემმა ქმარმა შენიშნა, რომ ჩემს ფოტოებს ერთი ძველი კლასელი ბიჭი იწონებდა, ადამიანი, რომელსაც ის არ იცნობდა. მკითხა, ვინ იყო. ვუპასუხე, რომ ჩემი კლასელი იყო. სწორედ იქიდან დაიწყო ყველაფერი.

ჯერ მხოლოდ შეკითხვები იყო. რატომ არ ვიცოდი აქამდე მის შესახებო? შემდეგ ამ შეკითხვებს ეჭვი მოჰყვა, ეჭვს კი - მუდმივი უკმაყოფილება.

თუ ბუნების ფოტოებს გავაზიარებდი ჩემს კედელზე და ეს ვინმე კაცის იქნებოდა ეს ჰოსტი, მეუბნებოდა: „რატომ აზიარებ ამასო“. ნელ-ნელა მისი ეჭვიანობა სულ უფრო მძაფრი და უსაფუძვლო ხდებოდა. ისეთ დეტალებშიც კი ეძებდა საბაბს, სადაც არაფერი იყო. მაგალითად, ტელეფონზე მაგთიდან მოსულ ჩვეულებრივ სმს-საც ეჭვის თვალით უყურებდა, ალბათ კაცის სახელი გაქვს ასე ჩაწერილიო.

მაშინ მეგონა, რომ ეს ყველაფერი სიყვარულის გამო ხდებოდა. მეგონა, თუ ეჭვიანობდა, ეს ნიშნავდა, რომ ვუყვარდი. მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ეს სიყვარული კი არა, კონტროლი იყო.

კონტროლი, რომელიც ჩემს ყოველდღიურობას, ჩემს კომუნიკაციას და ჩემს შინაგან სიმშვიდეს ნელ-ნელა ზღუდავდა.

ყველაზე რთული ის არის, როცა ძალადობა ხმაურით არ იწყება. ხშირად ის იქ ჩნდება, სადაც ქალს ეგონა, რომ ნდობა, სიახლოვე და სიყვარული იყო.“



რას აერთიანებს ამ ისტორიებს?

ამ ისტორიებში განსხვავებული ქალები და განსხვავებული გარემოებები გვხვდება, მაგრამ რამდენიმე რამ მუდმივად მეორდება: ნდობის მოთხოვნა, პირად სივრცეში შეჭრა, კონტროლის „ზრუნვად“ წარმოჩენა, ეჭვიანობის ნორმალიზება, სირცხვილისა და შიშის იარაღად გამოყენება. სწორედ ამ განმეორებადი ნიშნების დანახვა გვაძლევს საშუალებას, დროულად დავარქვათ სახელი იმას, რაც ხშირად სიყვარულად, დახმარებად ან ყურადღებად ინიღბება.

სასწარგებლო (პრაქტიკული) რჩევები

თუ პარტნიორი:

- გთხოვთ პაროლებს ან ანგარიშებზე წვდომას
- აკონტროლებს სად ხართ და ვისთან ურთიერთობთ
- გადალებთ პირადი ფოტოებისა თუ ინფორმაციის გაგზავნას
- „ხუმრობით“ ან „ეჭვიანობით“ ამოწმებს თქვენს ციფრულ აქტივობას
- ცდილობს თქვენს ფინანსურ გადაწყვეტილებებში ჩარევას
- პირად მასალას თქვენს წინააღმდეგ იყენებს
- გიტოვებთ განცდას, რომ მუდამ უნდა ამართლებდეთ საკუთარ ქცევას

ეს შეიძლება მხოლოდ ურთიერთობის სირთულე არ იყოს. ეს შეიძლება იყოს ძალადობის ადრეული ნიშნები.

რას შეიძლება გავკეთოთ?

სპეციალისტების პრაქტიკული რჩევები:

- ✓ შეინახეთ მტკიცებულებები,
- ✓ არ შეცვალოთ ან არ წაშალოთ მიმოწერა დაუფიქრებლად,
- ✓ შეცვალეთ პაროლები და ჩართეთ ორფაქტორიანი ავტორიზაცია (2FA),
- ✓ გადაამოწმეთ, ხომ არ არის ჩართული ლოკაციის გაზიარება ან უცხო მოწყობილობიდან წვდომა,
- ✓ ესაუბრეთ სანდო ადამიანს,
- ✓ საჭიროების შემთხვევაში მიმართეთ შესაბამის სერვისს.

დახმარების თხოვნა სისუსტე არ არის, ეს ხშირად უსაფრთხოებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.






სად შეიძლება დახმარების მიღება?

- 112 - პოლიცია/SOS - ჩუმი განგაშის დილაკი
- 116 006 - ძალადობის მსხვერპლთა ცხელი ხაზი
- თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები - <https://sosfsokhumi.ge/central>
- არასამთავრობო ორგანიზაციების ფსიქოლოგიური/იურიდიული დახმარება
- კავშირი "საფარის" აპლიკაცია **SAFE YOU**
- 14 81 - საქართველოს სახალხო დამცველი
- ძალადობაგამოვლილ ქალთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი - <https://sosfsokhumi.ge/>

ბროშურა მომზადდა

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ
მიმდინარე პროექტის „უხილავი აღარ არის: პარტნიორულ ურთიერთობებში
ტექნოლოგიური ძალადობის ამოცნობა და რეაგირება“ ფარგლებში
WAVE ქსელის მხარდაჭერით





ქალთა ისტორიების ადაპტაციას
და ბროშურის შედგენაზე მუშაობდა

ლინდა ჩიხლაძე

დიზაინერი:

ანა ფრუიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2

womansukhumi@gmail.com

fundsukhumi@bilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi/

www.facebook.com/WFSTbilisiOffice

Instagram/Tik Tok: @wfsukhumi